გადასახადები თამბაქოს ნაწარმზე საქართველოში

თამბაქოს კონტროლის საინვესტიციო შემთხვევა

საქართველო

თამბაქოს მოხმარებასთან ასოცირებული მთლიანი ყოველწლიური ეკონომიკური ტვირთი - 825 მილიონ ლარს უტოლდება



თამბაქოს ეკონომიკური ზარალი საქართველოში

2017 წლის კვლევის შედეგების მიხედვით საქართველო ყოველწლიურად კარგავდა:

825 მილიონ ლარს, (მშპ-ს 2.43%), თუმცა ამჟამინდელი მონაცემებით, პირდაპირი ზარალი დაახლოებით 3 მილიარდ ლარს შეიძლება აჭარბებდეს.

ზემოაღნიშნული დანაკარგი მოიცავს:

- ჯანდაცვის ხარჯებს
- შრომისუნარიანობის დაკარგვას
- ნაადრევ სიკვდილიანობას

თამბაქოს გადასახადი ეფექტიანია მხოლოდ მაშინ, როცა:

- გადასახადი სრულად აისახება ფასზე
- სისტემა არის თანაბარი და არ ქმნის პროტექციონიზმს
- უზრუნველყოფილია ძლიერი ადმინისტრირება

წინააღმდეგ შემთხვევაში:

იგებს მწარმოებელი — აგებს სახელმწიფო და საზოგადოება

ჩატომ არის მნიშვნელოვანი საგადასახადო ინსტრუმენტები თამბაქოს კონტროლის პოლიტიკაში

თამბაქოს ნაწარმზე გადასახადის ზრდა არის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი საჯარო პოლიტიკის ინსტრუმენტი, რომელიც ერთდროულად ქმნის მრავალ სარგებელს:

- ზრდის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებს
- ამცირებს თამბაქოს მოხმარებას
- აუმჯობესებს მოსახლეობის ჯანმრთელობას
- ამცირებს ჯანდაცვის სისტემის დატვირთვას
- ზრდის ეკონომიკურ პროდუქტიულობას

მითი: გადასახადის ზრდა თამბაქოს ნაწარმზე (სიგარეტზე), იწვევს არაღრიცხული ვაჭრობის ზრდას

სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილება ნათლად აჩვენებს, რომ: გადასახადის სიდიდე ***არ არის დაკავშირებული*** არალეგალური ვაჭრობის ზრდასთან.

არალეგალური ვაჭრობის რეალური მიზეზები შეიძლება იყოს:

- საზღვრების (მ.შ. ადმინისტრაციულის) კონტროლის პრობლემები;
- ადმინისტრირების სისუსტეები და კორუფციის რისკები;
- მიკვლევადობისა და თვალყურის დევნების სისტემის სისუსტე

შესაბამისად, გამოსავალი არის ***ეფექტური ადმინისტრირება,*** და არა დაბალი გადასახადები თამბაქოს ნაწარმზე.

გრაფიკი N 1 სააქციზო განაკვეთები და უკანონო ვაჭრობა ევროპის ქვეყნებში



Source: HEPA at the wiiw, 2026.

რეკომენდაცია

- აღდგეს თანაბარი საგადასახადო სისტემა
- პერიოდულად გაიზარდოს გადასახადის ეფექტური ტვირთი
- გაძლიერდეს ადმინისტრირება და კონტროლი
- შემცირდეს საგადასახადო გამონაკლისები
- სრულად დაინერგოს მიკვლევადობისა და თვალყურის დევნების სისტემა
- საქართველო მიუერთდეს თამბაქოს ნაწარმით უკანონო ვაჭრობის აღმოფხვრის ოქმს

მასალა მომზადებულია თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციის იმპლემენტაციისა და მონიტორინგის ცენტრის ეკონომიკის კონსულტანტის, პროფ. ვანო ცერცვაძის მიერ.

პუბლიკაცია მომზადებულია თამბაქოსგან თავისუფალი ბავშვების მოქმედების ფონდის მხარდაჭერით. მასში მოცემული მიგნებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორ(ებ)ს და შესაძლოა არ წარმოადგენდეს დონორის ოფიციალურ პოზიციას.

2026 წლის 14 მაისი

FCTC
თამბაქოს კონტროლის ჩარჩო-კონვენციის იმპლემენტაციისა და მონიტორინგის ცენტრი საქართველოში

ჰა შეიცვალა საქართველოში? საგადასახადო ცვლილებები (2024–2026)

ბოლო სამი წლის მანძილზე, საქართველოს თამბაქოს დაბეგვრის სისტემაში განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომელიც მოცემულია ცხრილი N 1-ში:

ცხრილი N 1. აქციზური განაკვეთები თამბაქოს ნაწარმზე 2024-2026 წლებში

პროდუქტი		2024	2025	2026
იმპორტული სიგარეტი (ფიქსირებული აქციზი, ლარი)		1.7	1.9	2.75
ადგილობრივი სიგარეტი (ფიქსირებული აქციზი, ლარი)		1.7	1.9	1.3
გასახურებელი თამბაქოს ნაწარმი, ე.წ. "აიქოსი" (ფიქსირებული აქციზი, ლარი		1.7	1.85	2.7
ადვალური აქციზი %	იმპორტული სიგარეტი, გასახურებელი თამბაქოს ნაწარმი	30%	30%	20%
	ადგილობრივი სიგარეტი	30%	30%	15%
ნედლი თამბაქო და თუთუნი (1 კგ, ლარი)		60	30	30

ამ ცვლილებების შედეგად:

- შეიქმნა არათანაბარი საგადასახადო სისტემა
- გაჩნდა პროტექციონიზმი ადგილობრივი მწარმოებლისთვის
- შემცირდება საბიუჯეტო შემოსავლები
- გაიზრდება თამბაქოს ნაწარმის მოხმარება და შესაბამისი ტვირთი ჯანდაცვაზე

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ:

- ***ნედლი თამბაქოს აქციზის შემცირება არ აისახა საცალო ფასზე***
- ***საჩაგებელი დარჩა მწარმოებელთან და არ შევიდა ბიუჯეტში***

ჰა შედეგი მივიღეთ: ვინ მოიგო?

თამბაქოს აქციზის სიმულაციურ მოდელში (TETSiM) სამი სცენარის შედეგები აჩვენებს გაუარესებას არსებული საგადასახადო პოლიტიკის პირობებში (სცენარების დეტალები -ცხრილი N2, სცენარების შედარებითი ანალიზი - გრაფიკი N2).

საბიუჯეტო შემოსავალი

2025 წლის სცენარისა და მიმდინარე (2026) პოლიტიკის შედარება:

- 2025 წელს აქციზური შემოსავლები შეადგენდა ***1469 მლნ ლარს.***
- მიმდინარე სააქციზო განაკვეთი (2026): პროგნოზირებადი საბიუჯეტო შემოსავალი აქციზის გადასახადიდან; ***1451 მლნ ლარი.***
- ***შედეგი:*** ბიუჯეტს დააკლდება დაახლოებით ***18 მლნ ლარი.***

2026 წლის მიმდინარე პოლიტიკისა და ალტერნატიული სააქციზო განაკვეთის შედარება:

- ალტერნატიული სააქციზო განაკვეთით მიღებული პროგნოზირებადი შემოსავალი: ***1731 მლნ ლარი.***
- შედეგი: მიმდინარე სცენარის პროგნოზისგან განსხვავებით შესაძლებელი იყო ***280 მლნ ლარით მეტი შემოსავლის მიღება.***

მოხმარება

2025 წლის სცენარისა და მიმდინარე (2026) პოლიტიკის შედარება:

- 2025 წელს მოხმარება იყო ***7022 მლნ ღერი***
- მიმდინარე პოლიტიკით პროგნოზირებადი მოხმარება იქნება ***7074 მლნ ღერი.***
- ***შედეგი:*** მოხმარება 2026 წელს გაიზრდება დაახლოებით ***52 მლნ ღერით.***

2026 წლის მიმდინარე პოლიტიკისა და ალტერნატიული სააქციზო განაკვეთის შედარება:

- ალტერნატიული საგადასახადო პოლიტიკით მოხმარება იქნება ***6308 მლნ ღერი.***
- ***შედეგი*** - შესაძლებელი იქნებოდა სიგარეტის მოხმარება შემცირებულიყო ***766 მლნ ღერით.***

თამბაქოს ნაწარმის გავრცელება (პრევალენტობა):

- მიმდინარე 2026 წელს პრევალენტობა არის ***26.50%***
- ალტერნატიული საგადასახადო პოლიტიკით პრევალენტობა იქნებოდა ***25.20%.***
- ***შედეგი:*** 2026 წელს პრევალენტობა შემცირდებოდა ***1.3 პროცენტული პუნქტით***

ცხრილი N 2 მოდელირების სამი სცენარი

		სცენარი 1: 2025 წლის აქციზური განაკვეთი	სცენარი 2: მიმდინარე სააქციზო განაკვეთი	სცენარი 3: ალტერანტიული განაკვეთი
ფიქსირებული	იმპორტული სიგარეტი	1.9	2.75	2.75
	ადგილობრივი სიგარეტი	1.9	1.3	2.75
	გასახურებელი თამბაქო	1.85	2.70	2.75
ადვალური	იმპორტული სიგარეტი	30%	20%	30%
	ადგილობრივი სიგარეტი	30%	15%	30%
	გასახურებელი თამბაქო	30%	20%	30%

გრაფიკი N 2. საბიუჯეტო შემოსავლების (მლნ ლარი, ჰეაღუჩი), სიგარეტის მოხმარების (მლნ ღერი) და პრევალენტობის შედარება სცენარების მიხედვით